



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 2 22 0001052249



12/09/2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილების, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/199 დადგენილების და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის, ბატონ დევი ხვედელიანის 2022 წლის 07 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათის (1017472) საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2022/2023 სასწავლო წლის პირველ (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში (ერასმუს+) მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ლევან კლიმიაშვილი – ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- დავით მახვილაძე - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- დევი ხვედელიანი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- დავით თავხელიძე - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- თამარ წერეთელი - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ბექა მაისურაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი ნანიტაშვილი - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/.

2. დაევალოს კომისიას:

- ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში.
- ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 და №01-05-04/199 დადგენილებებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;
- გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით

